4329/3-30/21 2 14052021

4329/3-30/21
14-05-2021

საქართველოს პრემიერ მინისტრს,

ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის ინტერპელაციის 149-ე მუხლის თანახმად, პარლამენტის წევრთა შვიდკაციანი ჯგუფის სახელით გიგზავნით შემდეგ კითხვებს:

1. ინფლაცია და ფასების ზრდა მოსახლეობის გაღარიბების ერთერთი ძირითადი მიზეზია. როგორ, რა ეკონომიკური მექანიზმებით აპირებთ მიზნობრივი 3%-იანი ინფლაციის შენარჩუნებას? რა ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას აპირებს მთავრობა ლარის კურსის სტაბილურობისათვის, რათა იგი სქოლასტიკურად ცვალებადი არ იყოს? შეგახსენებთ, რომ საქსტატის მონაცემებით წლიური საბაზრო ინფლაციის დონე არის 7.2% (2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით);
2. პანდემიის პერიოდში განსაკუთრებით დაზარალდა საშუალო და მცირე ბიზნესი. მთავრობის მიერ გაწეული დახმარება არასაკმარისი და არაეფექტური აღმოჩნდა. სიტუაციას ამძიმებს მკაცრი შეზღუდვები და რეგულაციები, რაც შეუძლებელს ხდის მრავალი ბიზნეს ობიექტის ფუნქციონირებას (სასტუმრო, კაფე, რესტორანი, ტურ-ოპერატორები და ა.შ.), განსაკუთრებით მოახლოებული ზაფხულის სეზონის დროს. გაქვთ თუ არა გაწერილი გეგმა ან რამე სახის ინიციატივები როგორ აპირებთ საშუალო და მცირე ბიზნესის ფინანსურ დახმარებას და წახალისებას? რა პოზიცია გაქვთ შემზღუდავ ღონისძიებებთან დაკავშირებით (კომენდანტის საათი და სხვა) ზაფხულის სეზონის პირობებში?
3. საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდოლოგია მოძველებულია. რატომ არ ცვლით სარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდოლოგიას? რამდენია დღეს არსებული საარსებო მინიმუმი და თქვენი აზრით, რამდენად უზრუნველყოფს რეალურად ადამიანის მინიმალურ საჭიროებებს?
4. როგორც ვიცით საქართველოს მოქალაქეების პენსიები გაიცემა ექსკლუზიურად მხოლოდ ლიბერთი ბანკის მიერ, გთხოვთ გვაცნობოთ რატომ მიენიჭა ლიბერთი ბანკს ასეთი ექსკლუზიური უფლებები, რამაც განაპირობა საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის, პენსიონერებისთვის და შშმ პირებისთვის გაცემული სესხების უსამართლოდ მაღალი საპროცენტო კაბალური განაკვეთი?

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
გიორგი ვაშაძე



პარლამენტის წევრი
გრიგოლ ვაშაძე



პარლამენტის წევრი
ხათუნა სამნიძე



პარლამენტის წევრი
პაატა მანჯგალაძე



პარლამენტის წევრი
ზურაბ გირჩი ჯაფარიძე

პარლამენტის წევრი
დავით ბაქრაძე



პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია